

ArcGIS-ის შესახებ:

გამოვყოფთ ArcGIS (ESRI-ის პროდუქტი) ორ ძირითად ნაწილს: ArcCatalog გამოიყენება მონაცემთა განხილვისთვის, მოიცავს "metadata"-ს (მონაცემები მონაცემთა შესახებ), მონაცემთა სტრუქტურის შეცვლისთვის; ArcMap- მონაცემთა რედაქტირება, ანალიზი და ვიზუალიზაცია.

ArcGIS Desktop-ის პროდუქტებია: ArcInfo, ArcEditor, ArcView;

ArcGIS-ში შეგვიძლია ვიმუშაოთ ისეთ

ფორმატებში, როგორიცაა: Geodatabase, Shapefiles, CAD files

სავარჯიშო 1

- 1.1 შესავალი-ArcCatalog
- 1.2 გავეცნოთ ArcCatalog-ის ფანჯარას
- 1.3 რატომ ვიყენებოთ ArcCatalog-ს?
- 1.4 ArcCatalog-ის ძირითადი ფუნქციები
- 1.5 კონფიდენციალურობა;
- 1.6 დასკვნა;

1.1 შესავალი-ArcCatalog


ამ სავარჯიშოში ჩვენ გავეცნობით, თუ როგორ გამოიყენება ArcCatalog –ი ArcGIS-ის გარემოში, გავეცნობით მის მნიშვნელოვან ფუნქციებს;

1.2 ArcCatalog

Start\Programs\ArcGIS\ArcCatalog




როდესაც ArcCatalog ვხსნით, ძირითადი მენუ და სტანდარტული იარაღები ავტომატურად იხსენება. სხვა იარაღები, შეგვიძლია აქტიური გავხადოთ, თუ გამოვიყენებოთ "View" მენუს.




რატომ ვიყენებოთ ArcCatalog-ს?

ვიყენებოთ ორი ძირითადი მიზნისთვის: შეგვიძლია მოვიპოვოთ და ვმართოთ არსებული გეოგრაფიული მონაცემები, კონკრეტული ფორმატის და მდებარეობის გათვალისწინებით; შეგვიძლია შევცვალოთ არსებული მონაცემების სტრუქტურა, მაგ: შეგვიძლია შევქმაოთ ახალი გეომონაცემთა ბაზა და არსებული მონაცემები შევიტანოთ ახლად შექმნილ ბაზაში, წავშალოთ ან დაგამატოთ ახალი ველები ატრიბუტულ ცხრილებში.



მონაცემთა გამოკვლევა

იმისათვის,რომ უკეთ გავიგოთ მონაცემთა გეოგრაფიული სივრცე, ამაში გვეხმარება ე.წ "thumbnail view"; მონაცემთა უფრო დეტალურად გასაცნობად,ვიყენებთ "Preview tab.".რომლის მეშვეობით დეტალურად გამოვსახავთ მონაცემებს.შეგვიძლია გავადიდოთ გამოსახულება(zoom in),ვიხმაროთ სპეციალური იარაღი(identify),რომლის საშუალებით მოვახდენთ ამა თუ იმ ობიექტის იდენტიფიკაციას.




ალტერნატიულად ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ გრაფიკული გამოსახულება ატრიბუტული ცხრილით.

	FID	Shape	TDN_CODE	type
	779	Polygon M	5213	meadow
	780	Polygon M	5213	meadow
	781	Polygon M	5263	other
	782	Polygon M	5023	deciduous forest
	783	Polygon M	5263	other
	784	Polygon M	5213	meadow
	785	Polygon M	5263	other
	786	Polygon M	5263	other
	787	Polygon M	5023	deciduous forest
	788	Polygon M	5023	deciduous forest
	789	Polygon M	5213	meadow
	790	Polygon M	5263	other
	791	Polygon M	5263	other
	792	Polygon M	5213	meadow

“Metadata”-ს (მონაცემები მონაცემთა შესახებ) გაცნობა, დათვალიერება და შექმნა

“Metadata” არის თვისებების და დოკუმენტაციის ერთობლიობა, რომელიც აღწერს მონაცენებს(მონაცემები მონაცემთა შესახებ). თვისებები მომდინარეობს მონაცემთა წყაროდან, როგორიცაამონაცემთა ტიპი(მაგ. shapefile) და გეომეტრიული ტიპი(პოლიგონალური ფენა, ხაზოვანი ფენა და ა.შ). დოკუმენტაცია გვაძლევს დამატებით ინფორმაციას მონაცემთ წყაროს შესახებ და რას ეხება ის, რას მოიცავს იგი(მაგ.სახელწოდება, დასკვნა, გამოცემის თარიღი, ენა).



ArcCatalog-ს აქვს ე.წ. “metadata editor”, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვათვავსოთ დამატებითი ინფორმაცია ან შევქმნათ ახალი მონაცემები მონაცემთა შესახებ.

ArcCatalog - ArcMap

ჩვენ განვიხილეთ, როგორ უნდა გავნიხილოთ მონაცემები ArcCatalog-ის გამოყენებით. მონაცემთა რედაქტირება, სხვადასხვა სახის ანალიზი და ვიზუალიზაცია შეგვიძლია ArcMap-ის გამოყენებით. ჩვენ შეგვიძლია ArcMap გავხსნათ, თუ დაგაწერეთ ArcMap დოკუმენტს, რომელსაც აქვს შემდგენ გამოსახულება [A] და გაფართოება .mxd.

ალტერანტულად ArcMap-ის გახსნა შეგვიძლია თუ გამოვიყენებთ დილაპ [B] “Standard toolbar”-დან.



ArcCatalog-ის გამოყენებით შეგვიძლია ვმართოთ და ორგანიზება გავუკეთოთ მონაცემებს. მართვის ფუნქციები მოიცავს მონაცემთა წაშლას, კოპირებას, სახელის გადარქმევას. იმისათვის, რომ კარგად ორგანიზებული სივრცული მონაცემების ბიბლიოთეკა გვქონდეს, როგორც ჩვენს სამუშაო დისკზე, ასევე ქსელურ გარემოში, ArcCatalog-ს აქვს ფუნქციები, როგორიცაა ახალი საქადალდის შექმნა და ახალი გეომინაცემთა ბაზის შექმნა.

1.4 ArcCatalog-ის ძირითადი ფუნქციები


ეხლა შევჩერდებით ArcCatalog-ის რამდენიმე ძირითადი ფუნქციაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევასრულოთ ის ფუნქციები, რომელებზეც ზოგადად წიმანდებარე პარაგრაფებში ვისაუბრეთ.

რუკების და მონაცემების შემოტანა

იმისათვის, რომ შემოვიტანოთ მონაცემები, საჭიროა კონტაქტი დამყარდეს იმ ადგილმდებარეობასთან, სადაც მონაცემები არის. ეს აგდილმდებარეობა შეიძლება იყოს ადგილობრივი C:\, ან D:\ დისკზე, ან ქსელში. ხლა შეგიძლიათ დაიწყოთ დაკავშირება თქვენ ადგილობრივ დისკთან.

“Standard toolbar”-ში მოვნახოთ დილაკი “Connect to Folder” [C] და დავაწაპოთ;
გახსნილ ფანჯარაში მოვნიშნოთ ის დისკი, სადაც მუშოაბთ, მაგ. D:\, იხილეთ: 1.7
და OK

მოვნიშნოთ სავარჯიშო 01;



როდესაც მოვნიშნავთ საქაღალდეს, “Contents tab.”-ში გამოჩნდება ყველა ის ფაილი და საქაღალდე, რომლებსაც მონიშნული საქაღალდე მოიცავს. ესლა დაწვრილებით გავეცნოთ მონაცემთა სტრუქტურას.

გავხსნათ შემდეგი საქაღალდეები:

Excercise01---TestData

TestData-ში არის **Test.mdb**, რომელიც არის პერსონალური გეომონაცემთაბაზა.

გავხსნათ **TestData.mdb**

პერსონალური გეომონაცემთაბაზა შედგება რამდენიმე ფენისგან, ამ ფენებს-“Feature classes”-ის გუწოდებთ.

შემოხაზეთ სწორი პასუხი.

boundary:	Points-Lines-Polygons
district:	Points-Lines-Polygons
mainroads:	Points-Lines-Polygons
neighbourhood:	Points-Lines-Polygons
railway:	Points-Lines-Polygons
roads:	Points-Lines-Polygons
water:	Points-Lines-Polygons

“Standard toolbar”-ში ღილაკი “thumbnails”-ი, შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ფაილის გრაფიკული გამოსახულება დავინახოთ.

შევცვალოთ ხედვა “thumbnails”-ით;


“Contents tab” უნდა იყოს მონიშნული;

“Thumbnail”-ის შექმნა


“Contents tab”-ში მოვნიშნოთ ერთ- რთი “feature class”, რომელსაც არ აქვს “thumbnail”;

მოვნიშნოთ “Preview tab.”

“ArcCatalog”-ი გვიჩვენებს (“Preview tab.”) –ის დახმარებით ობიექტების გრაფიკულ გამოსახულებას. ეს ფუნქცია შეიძლება გამოვიყენოთ “Thumbnail”-ის შესაქმნელად.




თუ თქვენ შექმნით “thumbnails”, ყველა “Feature classes”-თვის, მაშინ მსგავსი შედეგი უნდა გქონდეთ (სურ.1.8)



სურ.1.8

თქვენ უკვე ისწავლეთ, როგორ გამოიძახოთ მონაცემები სხვადასხვა წყაროდან. ესლა წვენ განვიხილავთ, როგორ გამოვსახოთ და განვიხილოთ გრაფიკული და ატრიბუტული მონაცემები.

გეოინფორმაციულ სისტემებში მონაცემთა უმრავლესობა შედგება გეოგრაფიული და ცხრილური კომპონენტებისგან. რცხატალობის საშუალებას გვაძლევს გამოვსახოთ ორივე მათგანი.




ეხლა გნახოთ,როგორ გამოვიყენოთ “Preview tab”;

მოვნიშნოთ ფაილი:mainroads-“Catalog tree”-დან;

მონიშნოთ “Preview tab”

ეხლა ჩვენ ვხედავთ ვექტორულ მონაცემთა ნაკრებს
ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ “Geography toolbar” მონაცემთა გამოსაკვლევად.





“Zoom in\out” დილაკი გვაძლევს საშუალებას ვაკონტროლოთ დეტალურობის ხარისხი იმ სივრცის,რომელის გამოსახულია ფანჯარაში.

მოვნიშნოთ ჩვენთვის საინტერესო,სასურველი არეალი.

გამოვიყენოთ “zoom in\out” დილაკი “Geography toolbar”-დან;

ამ დილაკის დახმარებით მოვნიშნოთ ჩვენთვის საინეტერესო არეალი;

არეალი,რომელიც ჩვენ გავადიდეთ,მოიცავს მთელ ფანჯარას;



“Pan button”-ის გამოყენება

მონიშნოთ “pan button” “geographic toolbar”-იდან;

და ვამოძრაოთ გამოსახულება სხვადასხვა მიმართულებით;

შეგვიძლია დაგათვალიეროთ მთელი გრაფიკული გამოსახულება, ისე რომ არ შევცვალოთ მასშტაბი;

“Full extent” ღილაკის გამოყენება

“Full extent” -ს დავაწეროთ და დავინახავთ, რომ გამოსახულება მთელი განვენილობით იქნება გამოსახული


თუ ჩვენ გვაინტერესებს ამა თუ იმ ობიექტის სახელი, სიგრძე, ფართობი და ა.შ.ატრიბუტები, მონაცემები, შეგვიძლია გამოვიყენოთ “Identify” ღილაკი.

“Identify” ღილაკის გამოყენება

“Identify” ღილაკს დავაწეროთ;

მოვნიშნოთ (დავაწეროთ) რომელიმე ობიექტი;

გაიხსნება ფანჯარა, რომელიც მოიცავს მონიშნული ობიექტის ატრიბუტებს;



მონიშვნული ობიექტის
უგელა ატრიბუტური
მომანეცემის დათვალიერება
შეგვიძლია ამ ფანჯარაში

განვიხილოთ ცხრილური მონაცემები


განვიხილოთ "roads"-- feature class-ის ატრიბუტული ცხრილი; თუ ჩვენ გვინდა, რომ შევცვალოთ რაიმე დეტალი ცხრილში, მაგ-გავაუმჯობესოთ კითხვადობა და ა.შ. შეგვიძლია შევცვალოთ სხვადასხვა დეტალები, მაგ. თუ გვინდა, რომ მონიშვნის დროს გამოვიყენოთ დია მწვანე ფერი, დია ცისფერის ნაცვლად, ან შევცვალოთ შრიფტის ზომა.

დავაწაპოთ ატრიბუტული ცხრილის რომელიმე სვეტზე, მთელი სვეტი უნდა მოინიშნოს;

"Tools menu"-დან მოვნიშნოთ "options";

ახალი ფანჯარა გაიხსნება, სადაც მოვნიშნოთ "Tables tab."

შევცვალოთ რამდენიმე დეტალი და შევამოწმოთ შედეგი ცხრილში;



შეგვიძლია
შევცვალოთ, ავირჩიო
თ ფერი, რომელიც
მონიშვნის დროს
გამოჩნდება

შეგვიძლია
შევცვალოთ
შრიფტის ზომა

შევცვალოთ სვეტების სიგანე ატრიბუტულ ცხრილში

ატრიბუტულ ცხრილში ინფორმაციის ნაწილი შესაძლებელია არ ჩანდეს, ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს შრიფტზე, ჩანაწერის ზომაზე და სიგრძეზე.

კურსორი უნდა დავაყენოთ სვეტის მარჯვენა მხარეს, კურსორი შეგვიძლია გამოძრაოთ მარჯვნივ ან მარცხნივ, იმის მიხედვით როგორ გვინდა შევცვალოთ სვეტის სიგანე;

საგულისხმოა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილება არის დროებითი.

შევცვალოთ სვეტების მდებარეობა

ზოგჯერ ცხრილი შედგება მრავალი სვეტისგან, და ესირ შემთხვევაში საჭიროა მათთვის ადგილის შეცვლა.

მოვნიშნოთ “OBJECTID” და კურსორი ვამოძრაოთ ქვევით, მონიშნული სვეტი მოგათავსოთ “Shape”-ს და “ENTITY”-ის შორის;

საგულისხმოა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილება არის დროული.

“Freeze a column”

ზოგჯერ ჩვენ გვჭირდება, რომ შევადაროთ რამდენიმე სვეტის მონაცემები ერთმანეთს იმისათვის რომ არ დაგვჭირდეს სვეტების მუდმივად გადაადგილება, მოსახერხებელია გამოვიყენოთ ფუნქცია: “Freeze \Unfreeze columns”

დავაწეროთ (მარჯვნივ) “OBJECTID”-ის;

მოვნიშნოთ “Freeze \Unfreeze columns” ფუნქცია;

შევამოწმოთ შედეგი, “OBJECTID”-ი დაიკავებს ცხრილში პირველი სვეტის ადგილს;

საგულისხმოა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილება არის დროული.

ჩანაწერების დახარისხება

მარჯვნივ დავაწეროთ “OBJECTID”-ს;

მოვნიშნოთ “Sort Ascending”;

შევამოწმოთ შედეგი, რიცხვები იზრდება ზემოდან-ქვემოთ;

საგულისხმოა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილება არის დროული.

სტატისტიკის გამოთვლა

მარჯვნივ დავაწეროთ “Shape_Leng”-ს;

მოვნიშნოთ “Statistics”;

გაიხსნება ფანჯარა, რომელიც მოიცავს ამ სვეტის შესახებ სრულ ინფორმაციას;


ახალი სვეტის (ველის) დამატება ცხრილში

დავაწეროთ ცხრილის მარჯვენა მხარეს მდებარე ღილაკზე
“Options”; (გიხილოთ სურ.1.15)

მოვნიშნოთ “Add field” დავარქვათ სახელი ახლადშექმნილ ველს;

სხვა თვისებები უცვლელად დაგტოვოთ (ამ თემას მომდევნო სავარჯიშოებში შევეხებით);

და OK;



სურ.1.15

“Metadata”-დათვალიურება და რედაქტირება

“Metadata” აღწერს მონაცემთა საშუალებებს სტანდარტული ხერხებით. “Metadata” გამოიყენება ინფორმაციის გაცვლისთვის, მაგ: ფაილის სახელი, მონაცემთა ფორმატი, მონაცემთა სიზუსტე, ინფორმაცია კოორდინატთა სისტემის შესახებ, მონაცემთა ხარისხი, მონაცემთა შექმნის თარიღი, ატრიბუტული სახელების განმარტებები და ა.შ.

ამგვარი ინფორმაცია ჩვენ საშუალებას გვაძლევს, გადავწყვიტოთ მისადებია თუ არა ეს მონაცემები ჩვენი აპლიკაციისთვის.

არსებობს რამდენიმე სტანდარტი. მისი მიზანი არის უზრუნველყოს საერთო ტერმინოლოგია და განსაზღვრებები ციფრული გეოსივრცული მონაცემთა დოკუმენტაციისთვის. გეო-სივრცული ინფორმაციისთვის ორი ძირითადი სტანდარტი არსებობს: ერთი მათგანი განსაზღვრულია - “the International Organization for Standardization’s (ISO), დოკუმენტით-19115 “Geographic Information-Metadata”, მეორე მათგანი - “Federal Geographic Data Committee’s” (FGDC)- (aSS). მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ:

<http://www.iso.org/iso/en/ISOOnline.frontpage>

<http://www.fgds.gov/metadata/contstan.html>

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რაოდენ მნიშვნელოვანია შევისწავლოთ “metadata”, ვიდერე გამოვიყენებოთ გეო-სივრცული ინფორმაციას (მოწოდებულს სხვადასხვა წყაროებიდან), ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაცია მონაცემების სიზუსტის შესახებ.

განვიხილოთ “Feature class”-“ mainroads”-ის “metadata”


მონიშნოთ -“mainroads”;

გავააქტიუროთ “metadata”- იმისათვის, რომ გამოვსახოთ იმფორმაცია მონაცემთა შესახებ;

გადავხედოთ და განვიხილოთ რა სახის ინფორმაციაა მოცემული;


“metadata” შედგება თვისობრივი მონაცემებისა და დოკუმენტაციისგან; პირველი მათგანი მოყვება თვით მონაცემებს, ხოლო მეორე არის დამატებითი აღწერილობითი სახის ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია მონაცემების შემქმნელისგან. თუმცა მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს ან დაამატოს ინფორმაცია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სხვადასხვა სახით, სტილით (“Stylesheets”) გამოვსახოთ “metadata”.

“Stylesheets” განსაზღვრავს ინფორმაციის გამოსახვის სტილს. “ArcCatalog” იყენებს “FGDC ESRI”-“Stylesheets”.



შევცვალოთ “Stylesheets”

“Metadata toolbar”-დან შეგვიძლია ავტორჩიოთ ჩვენთვის სასურველი სტილი;



ამოვირჩიოთ და მოვნიშნოთ რომელიმე სტილი;

შევამოწმოთ შედეგები;

“Metadata”-ს რედაქტირება

თუ გვინდა რომ შევქმათ “metadata” ახალი მონაცემთათვის ან რედაქტირება გავუკეთოთ არსებულს, ”ArcCatalog” ამის საშუალებას გვაძლევ, (გამოვიყენოთ “metadata editor”). შევცვალოთ “metadata”- “e_neighbourhood”.

დეტალური მისამართია:

Organisation

Address


Province

Postal Code


“metadata”- ს რედაქტირება



ახალი ფანჯარა გაიხსნება, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ველში გვხვდება სიტყვა - “REQUIRED” (წითელი ფერით) და მოკლე აღწერა იმ ინფორმაციის, რომელსაც ეს ველი მოიცავს. ეს ს ინფორმაცია არის წითელი ფერით, იმიტომ რომ მომხმარებელმა გაითვალისწინოს, რომ ეს ველები მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ მინიმალურ ინფორმაციას.




მოვნიშნოთ “Distribution tab” [2], და დავაწეროთ “Details”-დილაკს; [3], რის შედეგად ახალი ფანჯარა გაიხსნება;



მოვნიშნოთ “Organization” [4], და გავაძებიუროთ “Address tab” [5];

შევიყვანოთ ორგანიზაციის სახელი[6], და მისამართი შესაბამის ველებში[7];



“OK” და “Save”;

შევამოწმოთ მიღებული შედეგი;

მონაცემთა მართვა

“ArcCatalog”-ის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ვმართოთ მონაცემები: კოპირება, წაშლა, სახელის გადარქმევა და ა.შ.

ახალი საქაღალდის შექმნა


მოგნიშნოთ D:\Exercise01;

მარჯვნივ დავაწეროთ, და ახალი საკონტაქტო ფანჯარა გაიხსნება;

მოგნიშნოთ “New” და “Folder”;

დავარქვათ სახელი ახლადშექმნილ საქაღალდეს, მაგ. “My Folder”;

გადავწეროთ პერსონალური გეომონაცემთა ბაზა “Tbilisi.mdb” ახლადშექმნილ საქაღალდეში - “My Folder”;




ძალიან მარტივია ვმართოთ მონაცემები “ArcCatalog”-ის მეშვეობით.ასევე შესაძლებელია შევქმნათ ახალი ,ცარიელი გეომონაცემთა ბაზა,რასაც მომდევნო სავარჯიშოებში ვისწავლით,ასევე ვნახავთ,როგორ უნდა შევავსოთ იგი ახალი მონაცემებით “ArcMap”-ის გამოყენებით.

“ArcCatalog”-----“ArcMap”

ამ სავარჯიშოში ჩვენ განვიხილავთ “ArcCatalog”-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციები.მისი მთავარი მიზანია მონაცემთა დათვალიერება და მართვა.მაგრამ მონაცემთა რედაქტირება,ანალიზი,რუკების შექმნა “ArcMap”-ის გამოყენებით არის შესაძლებელი(“ArcGIS”-ის აპლიკაცია).

მომდევნო სავარჯიშოებში განვიხილავთ გეო-ინფორმაციული პროცესების საფუძვლებს ”ArcMap”-ის ფუნქციების გამოყენებით.



კითხვები:

ამ სავარჯიშოში ჩვენ არ შევხებივართ,თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ფუნქცია:”Search by geographic location” (მოძებნა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით).

მოძებნეთ ყველა გეო- მონაცემი აღმინისტრაციული ერთეული “Overijssel”-ის ფარგლებში, “Search by geographic location”-ის ფუნქციის გამოყენებით.

მინიშნება:თუ საჭიროა,შეგიძლიათ გამოიყენოთ “Help”.

დასკვნა

ამ სავარჯიშოში თქვენ ისწავლეთ “ArcCatalog”-ის ძირითადი ფუნქციები. ეხლა თქვენ იცით,როგორუნდა დაათვალიეროთ და მართოთ გეოგრაფიული და ატრიბუტული მონაცემები,რომლებსაც გამოვიყენებთ ანალიზისთვის და GIS აპლიკაციებისთვის.